

გიგი თევზაძე, გიგა ზედანია  
საქართველოს პოლიტიკური ელიტა: სიმბოლური გაცვლა და სოციალური მითოლოგია

## მოდერნულობა როგორც პროპლემა

”ჩვენ არასოდეს ვყოფილვართ მოდერნულნი“<sup>1</sup> - ასე შეიძლება შეჯამდეს პრობლემებისა და გამოწვევების ერთობლიობა, რომლებსაც დღეს საქართველო აწყდება. ეს, ერთი შეხედვით, პარადოქსული მტკიცებაა - საქართველო ხომ საბჭოთა კავშირის ნაწილს წარმოადგენდა, რომლის მთავარი მიზანიც სწორედ აგრარული რუსული იმპერიისაგან თანამედროვე ინდუსტრიული სახელმწიფოს ჩამოყალიბება იყო. ინდუსტრიალიზაცია, ურბანიზაცია, სეკულარიზაცია, ბიუროკრატიზაცია - ეს ყოველივე საქართველოში, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში, განხორციელდა. მოდერნულობა-არამოდერნულობის კვლევა-გააზრებაში დღეს მიღებულია აზრი, რომ მოდერნიზაციის ეს პროცესი წარუმატებელი სწორედ იმიტომ აღმოჩნდა, რომ უარი ითქვა მოდერნულობის უმთავრეს მახასიათებელზე: ფუნქციონალურ დიფერენციაციაზე. როგორც ამ თეორიული დაშვების მომხრეები ამბობენ, დიფერენციაციის რამდენიმე სახე გამოიყოფა<sup>2</sup>: ა) სეგმენტარული (რომელიც გულისხმობს საზოგადოების გაყოფას მსგავს ნაწილსისტემებად: ტომებად, ოჯახებად, სოფლებად და ა.შ.), ბ) ცენტრად და პერიფერიად (რომელიც გულისხმობს

<sup>1</sup> ასეთია ბრუნო ლატურის ცნობილი წიგნის სათაური (ოუს ნ'ავონს ჯამის დტლ მოდერნეს). ამ კონტექსტში სანტერესოა მხოლოდ სათაური და არა წიგნში განვითარებული კონცეფცია, რომლის მიზანიც თავად მოდერნულობის მრავალგანზომილებანობისა და მრავალფეროვნების ჩვენებაა.

<sup>2</sup> C. Baraldi, G. Corsi, E. Esposito. Clossar zu Niklas Luhmann, Suhrkamp, Frankfurt 1977, 65-71.

საზოგადოების გაყოფას ქალაქს, როგორც ცივილიზაციის წყაროს და სოფელს, როგორც ცივილიზაციის ზღვარს შორის); გ) იერარქიული (რომელიც გულისხმობს არის-ტოკრატიის ცალკე ფენად გამოყოფას), დაბოლოს, ფუნქ-ციონალური. ფუნქციონალური დიფერენციაცია აღნიშნავს პროცესს, რომლის შედეგადაც საზოგადოების ყოველი ქვე-სისტემა გამოიყოფა იმ ფუნქციის მიხედვით, რომელსაც ის ასრულებს. ასეთი ქვესისტემებია: ეკონომიკა, პოლიტიკა, სამართალი, მეცნიერება, რელიგია, განათლება, მედია, ხე-ლოვნება. დიფერენციაციის ამ სახის სპეციფიკა იმაში მდ-გომარეობს, რომ თითოეულს ამ სისტემათაგან საკუთარი 'ლოგიკა', მოქმედების საკუთარი წესი აქვს; თითოეული მათგანი ავტონომიურია - და სწორედ ამ ავტონომიურო-ბის გამო ავითარებს მანამდე არნახულ პროდუქტულობას (შდრ. ეკონომიკის სისტემის ან მეცნიერების სისტემის დინ-ამიკა მოდერნულობის ეპოქამდე და მას შემდეგ). ამ თეორ-იის მიხედვით, სწორედ ეს ავტონომიურობა წარმოადგენდა დაბრკოლებას, რომლის გამოც ვერ მოხერხდა საბჭოთა კა-ვშირის ნამდვილ მოდერნულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბე-ბა: ანუ, ამ თეორიის მომხრეთა აზრით, საბჭოთა კავშირში იდეოლოგია წარმოადგენდა იმ გამაერთიანებელ ჩარჩოს, რომელიც ითხოვდა ყველა სხვა სისტემის (ხელოვნება, ეკონომიკა, მეცნიერება, განათლება და ა. შ.) ძალადობრივ დამორჩილებას საკუთარი მოთხოვნებისადმი.

თუმცა, ერთი შეხედვით ეს მწყობრი თეორია რამდენიმე წინაამდევობას აწყდება: პირველი და უმთავრესი არის ის, რომ ზემოთ აღნერილი ფუნქციონალური დიფერენციაცია უფრო მეტად შეუძლია საუკუნეებისათვის არის დამახასითე-

ბელი, ვიდრე თანამედროვეობისათვის. პოლიტიკური, ეკო-ნომიკური, რელიგიური და სხვა ინსტიტუტების, ისევე, როგორც მათი ფუნქციების დიფერენციაცია შუა საუკუნეებში დაიწყო და პიკს, როგორც ჩანს, ახალი დროის დასაწყისში მიაღწია: საერო და საეკლესიო ხელისუფლებების ფუნქციური გაყოფა, მათი ბრძოლა რაც შეიძლება მეტი ფუნქციის მითვისებისათვის, ამქრების და გილდიების წარმოშობა, ქალაქების და სოფლების ფუნქციური დივერსიფიკაცია - ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ ფუნქციონალური დიფერენციაცია შუა საუკუნეების მახასიათებელი უფროა, ვიდრე ჩვენი თანამედროვეობის. როგორც ერნსტ გელნერი აღნიშნავს, ჩვენი კულტურა ვითარდება მეტი დიფერენცირებულიდან ნაკლები დიფერენციისაკენ<sup>3</sup>

გვიან შუა საუკუნეებში ერთადერთი ადგილი, სადაც შესაძლებელი იყო თანამედროვე სამყაროს აჩრდილის დანახვა, იყო უნივერსიტეტი - არაიდეოლოგიური, სეკულარური პროფესურით, თავისუფალი და იმ მომენტში მხოლოდ საკუთარ წარმატებაზე დამოკიდებული სტუდენტებით, პროფესორთა და სტუდენტთა პრინციპული ერთობებით, რომლებიც წარმოშობის ადგილზე იყო დამყარებული, და არა წევრების პროფესიაზე ან ინტერესებზე, პრინციპული თვითმმართველობით და შიდა რეგულაციებით.

მეცნიერების და ტექნოლოგიების ბუმი, რომელსაც მეთვრამეტე საუკუნიდან მოყოლებული შეიძლება დავაკვირდეთ, არის სწორედ იმის შედეგი, რომ არსებული ფუნქციონალური დიფერენციაცია დაირღვა და მაგალითად, ლონდონელმა ვაჭრებმა ხელი მიჰკიდეს ტექნოლოგიის განვითარებას (რაც ოქსფორდში და კემბრიჯში შეუძლებელი

<sup>3</sup> იხ. ე. გელნერი. ერები და ნაციონალიზმი. „ნეკერი“, თბილისი, 2003.

იყო, რადგანაც მათ ამ დროისათვის წმინდა შუა საუკუნეო-ბრივი სახე - ერთფუნქცური ბუნება ქონდათ მიღებული)<sup>4</sup>.

როდესაც დღევანდელ საქართველოში მოდერნიზაციის პროექტის შესახებ ვსაუბრობთ, მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ სწორედ ფუნქციონალური დიფერენციაციის დაძლევა (ცნობილი ქართული პოლიტიკური სლოგანი რომ მოვიშველიოთ - ”ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს” დაძლევა) არის მოდერნიზაციის კვალზე შედგომის ერთადერთი გზა.

შესაბამისად, ნიკლას ლუმანის თეორია, როგორც ჩანს, სხვა არაფერია, თუ არა იმ მითის თეორული გამართლების მცდელობა, რომელიც კვებავს ავტონომიურობის ლეგენდას, რომელიც - თავის მხრივ თანამადროვე ადამიანის შესახებ მითოლოგიას უდებს სათავეს.

დაწყებული პოლემიკა, მართალია სცდება ამ სტატიის მიზნებს და ამოცანებს, მაგრამ ერთი რამ მაინც უნდა აღვნიშნოთ - ადამიანის თანამედროვე აღწერები, როგორც ფილოსოფიური, ასევე, სოციალ-მეცნიერული - ყველანაირად ხაზს უსვამენ მის არა-ავტონომიურობას, ისევე, როგორც შუა საუკუნეების ადამიანი ძირითადად შეიძლება აღინიეროს, როგორც ავტონომიური, იერარქულობის და დაქვემდებარებულობის იმ დროს გავრცელებული ლეგიტიმური აღწერების საპირისპიროდ.

<sup>4</sup> H. Rushdall, Universities of Europe in the Middle Ages. Oxford: Clarendon Press, 1987.

## პოლიტიკის სისტემა

ნიკლას ლუმანი<sup>5</sup>, რომელიც მოდერნის მთავარ მახასიათებლად დიფერენციაციას გამოყოფს, გვთავაზობს დემოკრატიის ოპერაციონალურ გაგებას. ლუმანის მიხედვით, დემოკრატია არაა არც ა) ხალხის მმართველობა (თეორიულად ეს განსაზღვრება გამოუსადეგარია) და ბ) არც პრინციპი, რომლის მიხედვითაც ყველა გადაწყვეტილება პარტიიპაბელური, მონანილეობადი ხდება (ამ შემთხვევაში უსასრულობაში მოგვიწევდა წასვლა, რადგან თავად გადაწყვეტილებებზე გადაწყვეტილებები იქნებოდა მისაღები და პროცესი დაიკარგებოდა ”ტელე-დემო-ბიუროკრატიულ“ პროცესის უსასრულობაში. ლუმანი გვთავაზობს, დემოკრატია გავიგოთ როგორც წვეროს გახლეჩა (Spaltung der Spitze): დიფერენცირებული პოლიტიკური სისტემის წვეროს გახლეჩა ხელისუფლებლებისა და ოპოზიციის განსხვავების შედეგად. ამ კონტექსტში ლუმანი პოლიტიკური სისტემის კოდირებაზეც საუბრობს, სადაც კოდირება სხვა არაფერს ნიშნავს, თუ არა იმას, რომ სისტემა ორიენტირებულია განსხვავებაზე პოზიტიურსა და ნეგატიურ ღირებულებას შორის: ჭეშმარიტი და არაჭეშმარიტი მეცნიერების შემთხვევაში, კანონიერი და არაკანონიერი სამართლის შემთხვევაში, ტრანსცენდენტური და იმანენტური რელიგიის შემთხვევაში, ხოლო პოლიტიკის სისტემის შემთხვევაში - ხელისუფლებისა და ოპოზიციის განსხვავებაზე.

ჩვენ შეიძლება გავათართოოდ ლუმანის თეორია, და კოდირებას მივუჩინოთ ადგილი იქ, სადაც უეჭველი და აუცილე-

<sup>5</sup> N. Luhmann. Die Zukunft der Demokratie, in: K. Stüwe, G. Weber (Hrsg.), Antike und Moderne Demokratie. Ausgewählte Texte, Reclam, Stuttgart, 2004, 93-98.

**ბელია -** სოციალური და პოლიტიკური მითების სისტემაში: ანუ, ლუმანის თეორია მართებულია მაშინ, როდესაც მის მიერ აღწერილ ავტონომიურ და საკუთარი კოდირების მქონე სისტემებს არა სისტემების აღწერილობად, არამედ ამ სისტემების აქტორების თვითაღქმად დავადგენთ.

**შესაბამისად -** ჩვენი გამოკვლევის ერთ-ერთი მიზანი იყო დაგვედგინა - რადენად აღიქვამენ საქართველოს პოლიტიკური არენის აქტორები საკუთარ თავს ავტონომიურად - რამდენად არია ისინი იმ თანამედროვე მითოლოგიის მატარებლები, როლის გარეშეც შეუძლებელია იყო მოდერნული.

ამიტომ, ჩვენი პროექტის მიზანი იყო გაგვერკვია, რამდენად არსებობს საქართველოს პოლიტიკურ სისტემაში მითი ავტონომიურობის შესახებ და შესაბამისად, რამდენად შესაძლებელია იმ სისტემის არსებობა, რომელიც მოდერნულობას უდევს საფუძვლად - ქსელური სისტემა, რომლის მატარებლებსაც აქვთ საერთო ღირებულებები, რომლეთაგანაც მთავარი - ავტონომიურობაა<sup>6</sup>.

როგორც ზემოთ ჩვენი წინასწარი მსჯელობით დადგინდა - მითი პიროვნების და სოციალური ქვესისტემების ავტონომიურობის შესახებ უპირობოდ მიუთითებს ქსელური სოციალური სისტემის არსებობას, რაც, თავის მხრივ, გაზი-

<sup>6</sup> აქ ბუნებრივია, წარმოიშობა ცოდნის და კონსპირაციის პრობლემა: თუკი წარმოადგენილი სოციალური სამყარო იყოფა "რეალურად" და მითოლოგიურად, მაშინ რა გარანტია არსებობს იმისა, რომ რასაც (ცვენ ალვნერთ, როგორც რეალურს, მთოლოგისვე ფენა არ არის?) ამ პრობლემაზე პასუხი შეიძლება ავტორიტეტის მოხმიბით (მარქსი: იდეოლოგია არის ამოყირავებული ცნობიერება) "თუკი ცნობიერებას ჰეგელისეური აზრით გავიგებთ) ან- იმ იმპულსზე მითითებით, რაც ინვენტ საზოგადოებში ცვლილებებს - რომ არ საფუძველ-წინაამდგევობა სოციალურ სისტემის პარამეტრებს და სოციალური სისტემის შესახებ მითოლოგიას შორის - შეუძლებელი იქნებოდა ნებისმიერი, თუნდაც საკანომდებლო ცვლილების ლეგიტიმაცია.

არებული ღირებულებების, განათლების სისტემის, ქცევის კოდექსის და კიდევ ბევრი სხვა მოდალობის არსებობას მიშნავს. თუკი კვლევების საშუალებით ვერ ვაკვირდებით ავტონომიურობის მითის არსებობას, მაშინ რეალურად ერთმანეთისაგან ავტონომიური ქვესისტემების არსებობის მეტი შანსი არსებობს, რაც კონკრეტული საზოგადოების კონკრეტულ პოლიტიკურ სისტემაში კონსენტუსის და თანხმობის ვერ-მიღწევის ტოლფასია: თუკი მე არა მაქვს ნაცვალგება სხვასთან<sup>7</sup> მყარი ქსელური პროგრამის საშუალებით - მაშინ ჩვენი ყველა შეთანმხება ყოველთვის არის ვაჭრობის საგანი (როგორც შუა საუკუნეებში) და ყველა შეთანხმება ორმხრივ წაგებად გადაიქცევა<sup>8</sup>.

## პოლიტიკური პარტიები საქართველოში

2006 წელს გამოქვეყნდა გია ნოდიასა და ალვარო პინტო სქოლტბახის მნიშვნელოვანი გამოკვლევა პოლიტიკური პარტიების შესახებ საქართველოში, საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი. პოლიტიკური პარტიები: მიღწევები, გამოწვევები და პერსპექტივები<sup>9</sup>. წიგნში გამოკვლეული იქნა შემდეგი საკითხები:

- პარტიის იდეოლოგიური სახე და პოლიტიკის შემუშავების მექანიზმები;
- ორგანიზაციული სტრუქტურა/ფინანსური და ადამიანური რესურსები;

<sup>7</sup> J. Baudrillard. L'échange symbolique et la mort. Gallimard, 1976.

<sup>8</sup> განსხვავებით თანამედროვე მოლაპარაკების WIN-WIN პრინციპისაგან.

<sup>9</sup> თბილისი, 2006.

- შიდა დემოკრატია;
- საზოგადოებასთან ურთიერთობა და საარჩევნო კამპანია<sup>10</sup>.

შესაბამისად, წინამდებარე გამოკვლევის მიზანი არ ყოფილა საქართველოში პარტიების ფუნქციონიბის არც ერთი ამ განზომილების ანალიზი. კვლევის ძირითად მიმართულებას წარმოადგენდა ქართული პოლიტიკური ელიტის (პარტიების ლიდერებისა და აქტივისტების) ხედვებისა და ლირებულებების შესწავლა. ამ მიზნით:

ა) ჩატარდა ფოკუს-ჯგუფები/ჩაღრმავებული ინტერვიუები საქართველოში არსებული ყველა მნიშვნელოვანი პარტიის ლიდერებთან;

ბ) თითოეული პარტიის მმართველობითი ორგანოების წარმომადგენლები გამოკითხულ იქნენ ლირებულებების კვლევის იმ კითხვარის მიხედვით, რომელიც ”მსოფლიო ლირებულებების კვლევის” ფარგლებშია შემუშავებული და რომელიც 2006 წელს ფონდ ”ლია საზოგადოება - საქართველომ” გამოიყენა ქართული საზოგადოების ლირებულებების კვლევისას. (გამოკითხულ იქნენ: საქართველოს ლეიბორისტული პარტია - 11 რესპონდენტი, რესპუბლიკური პარტია - 11 რესპონდენტი, ახალი მემარჯვენები - 9 რესპონდენტი, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - 8 რესპონდენტი, მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს - 7 რესპონდენტი, საქართველოს კონსერვატიული პარტია - 6 რესპონდენტი). გამოკითხვა ჩაატარა ორგანიზაციამ ჩ ლესეარცჲ.

კვლევა ეყრდნობოდა დაშვებას, რომლის მიხედვითაც პოლიტიკური ლიდერებისა და აქტივისტების რწმენები

<sup>10</sup> გ. ნოდა, ა.პ. სქოლტბახი, 4.

განხილულ უნდა იქნეს როგორც დამოუკიდებელი ცვლადი, რადგან არ არსებობს თეორია, რომელიც მოახერხებდა მათ ახსნას - ე. ი. მათ დაყვანას სხვა რაიმე ფაქტორზე, მათ გადაქცევას დამოუკიდებულ ცვლადად. ხოლო მათი შესწავლა მნიშვნელოვანია, რადგან სწორედ ისინი წარმოადგენენ ლიბერალური დემოკრატიის სტაბილურობის მნიშვნელოვან ფაქტორს. ინდივიდების რწმენები და ღირებულები გავლენას ახდენენ მათ მოქმედებებზე და, ამით, ინსტიტუციებისა და სისტემების სტრუქტურასა და ფუნქციონაზე. არ იქნება გადაჭარბებული იმის თქმა, რომ ამ ინდივიდებს შორის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია პოლიტიკური ელიტის - ადამიანების, რომლებიც უშუალოდ არიან ჩართულნი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში - რწმენები და ღირებულებები, მათ მიერ ავტონომიურობის მითის გაზიარება/არ-გაზიარება.

## პოლიტიკური აქტივისტების რწმენები

რაც უფრო მაღალია მოსახლეობის რწმენა ავტონომიურობის მითის მიმართ, მით უფრო მეტი შანსი აქვს ამ ლიბერალურ დემოკრატიის წარმატებას ქვეყანაში. მოსახლეობას უნდა სჯეროდეს ავტონომიურობის, და ამით უზრუნველყოფდეს სიმბოლურ გაცვლას - სოციალური სისტემის ერთგვაროვნების საფუძველს. ეს მტკიცება კარგავს ტრივიალურ ხასიათს, თუ გავითვალისწინებით ქართული საზოგადოების ღირებულებათა კვლევის შედეგად მიღებულ რეზულტატს: გამოკითხულთა 42% პირველ

პოლიტიკურ პრეფერენციად ასახელებდა ძლიერი ლიდერის ყოლას, რომელსაც არ მოუწევდა თავის შენუხება პარლა-მენტის ან არჩევნების გამო; იმ ადამიანთა რიცხვი, ვინც პირველ პრეფერენციად დემოკრატიულ პოლიტიკურ სისტე-მას ასახელებდა, იყო 36,3 %. როგორც ვხედავთ, ლიბერალ-ური დემოკრატიის, როგორც პოლიტიკური სისტემის ლეგი-ტიმურობის ხარისხი ქვეყანაში ჯერ-ჯერობით ვერ იქნება ამ სისტემის სტაბილობის გარანტი.

## ეფექტიანობა

რწმენები, რომლებიც ეხება კრიტიკული პრობლემების ეფექტიანად გადაჭრის მოლოდინს სხვადასხვა რეზიმებისა თუ ხელისუფლებების მიერ.

პოლიტიკური სისტემის ეფექტიანობის რწმენა სიმბოლ-ური გაცვლის არსებობა-არარსებობას აღნიშნავს- მაგ., აშშ-ში, როგორც აღმონდი და ვერბა აღნიშნავენ, სკოლის მოსწავლეთა უდიდეს უმრავლესობა იძენს ამ რწმენას. არაა გასაკვირი, რომ ადრეული სოციალიზაციის ეს გავლენა მათ ზრდასრულ ასაკშიც გაყვებათ - კითხვაზე, თუ რა არის ამ ქვეყანაში ის, რითაც ისინი ყველაზე ძლიერ ამაყობენ, ამერიკელთა 85 პროცენტი 60-იანი წლების დასაწყისში პა-სუხობს: "პოლიტიკური ინსტიტუციები". ბრიტანეთში იმავე გამოკლევის 46%-ია, გერმანიაში - 7%, ხოლო იტალიაში - 3%. ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს, შევადაროთ აღნიშნული მონაცემები 2006 წელს საქართველოში ჩატ-არებული კვლევის შედეგებს: ქართველების მხოლოდ 2,2 %

ასახელებს პოლიტიკურ ინსტიტუციებს როგორც სიამაყის ობიექტთა შორის პირველ არჩევანს (1,9% - როგორც მეორე არჩევანს). სამაგიეროდ, პირველ ადგილზეა "ეროვნული ტრადიციები და ისტორია" - პირველი არჩევანი - 33,5 %, მეორე არჩევანი - 23,9 %.

რასაკვირველია, პოლიტიკური ინსტიტუციების ეფექტიანობის შესახებ ადრეულ ასაკში სოციალიზაციის შედეგად მიღებული რწმენები უცვლელი არ რჩება. თუ საფრანგეთის ან ინდოეთის პროვინციაში ბავშვობის ასაკში გამომუშავებული შეხედულება იმის თაობაზე, რომ ნებისმიერი მთავრობა ცუდია რეალურ გამოცდილებასთან მოვა კონფლიქტში, მოსალოდნელია, რომ ეს შეხედულება შეიცვალოს - ისევე როგორც შეიცვლება ამერიკელის ოპტიმიზმი, თუ მისი რწმენა საკუთარი სახელმწიფო ინსტიტუციების ეფექტიანობაში არ გამართლდება. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ამაში მდგომარეობს სიმბოლური გაცვლის ზოგადად და, კონკრეტულად, სოციალური სისტემის ქსელურობის ძალა - ისინი ერთ-ერთი პირობაა იმისა, რომ ინსტიტუციებმა გამართულად იმუშავონ.

## 6დოპა

რწმენების კიდევ ერთ ელემენტს წარმოადგენს ის, თუ რამდენად აქვთ პოლიტიკური სისტემის წევრებს სხვა პოლიტიკური აქტორების ნდობა. ნდობა სომბოლური გაცვლის საფუძველია. ამიტომ, ორმხრივი ნდობა ხელს უწყობს ლიბერალურ დემოკრატიას, როგორც მინიმუმ, სამი მიზეზის

გამო: დემოკრატია გულისხმობს ორმხრვი კომუნიკაციას, რომელსაც ხელი ეშლება, თუ არ არსებობს ნდობა მოქალაქეებს შორის. მეორეც, ნდობა საჭიროა იმისათვის, რომ ადამიანები გაერთიანდენ საკუთარი მიზნების მისაღწევად. მესამეც, კონფლიქტები ბევრად უფრო სახიფათოა იმ ადამიანებს შორის, რომლებიც ერთმანეთს არ ენდობიან. საჯარო შეჯიბრებითობა გულისხმობს საკუთარი ოპონენტების რწმენას. ისინი ოპონენტები არიან, მაგრამ არა - მტრები. ამის საპირისპიროდ, მოვიყვანოთ ერთ-ერთი პარტიის ლიდერის მიერ დღევანდელი პოლიტიკური სიტუაციის ანალიზი: "მე მაქვს სრულიად გულწრფელი განცდა იმისა, რომ ნებისმიერი ორგანიზებული პოლიტიკური ძალა [გარდა პარტიისა, რომელსაც ის წარმოადგენს, გ. თ.], რომელიც არსებობს ამ ქვეყანაში, არის საფრთხე ქვეყნისათვის." როგორც წათლად ჩანს წინამდებარე კრებულში მოთავსებული ტექსტებიდან, ეს დამოკიდებულება საკუთარი ოპონენტების მიმართ დამახასიათებელია ყველა სხვა პარტიის ლიდერებისთვისაც. დღეს საქართველოში ნდობა პოლიტიკურ ელიტის დაპირისპირებულ ჯგუფებს შორის არ არსებობს. ეს უნდობლობა, თავის მხრივ, ასახავს ინტერპერსონალური ნდობის იმ ნაკლებობას, რომელიც ახასიათებს ქართულ საზოგადოებას მთლიანობაში. როგორც ქართული საზოგადოების ლირებულებების კვლევა ცხადყოფს, გამოკითხულთა მხოლოდ 13 % მიიჩნევს, რომ "ადამიანთა უმრავლესობის ნდობა შეიძლება". 44,8 % მიიჩნევს, რომ "ადამიანებთა ურთიერთობაში მეტი სიფრთხილეა საჭირო", ხოლო 30,1 % - "თუ ადამიანს არ იცნობ, მას ვერ ენდობი". ინტერპერსონალური ნდობის ეს დაბალი ხარისხი პირდაპირ გავლენას ახ-

დენს დღევანდელი საქართველოს პოლიტიკური სისტემის სტრუქტურაზე. ”პოლიტიკური თანამშრომლობის უნარის ნაკლებობა ასახავს პოლიტიკური მოლაპარაკების წარმოებისა და ინტერესების შეერთების (აგგრეგატე) უფრო ზოგად უუნარობას. საზოგადოება იყოფა ჩაკეტილ და შედარებით მტრულად განწყობილ ბანაკებად”.

## თანამშრომლობა

ნდობა, რასაკვირველია, დაკავშირებულია ადამიანების უნართან, დაუკავშირდნენ ერთმანეთს კოლექტიური მოქმედების განსახორციელებლად.

არაა აუცილებელი, თანამშრომლობისა და კონფლიქტის სუბიექტები, კონკრეტული ადამიანები იყვნენ. ფრაქციები, პარტიები, კლასები, რეგიონები - ეს ერთეულებიც შეიძლება იქნეს განხილული, როგორც თანამშრომლობის პერსპექტიული სუბიექტები. აქ რამდენიმე შესაძლებლობა შეიძლება გამოვარჩიოთ:

ა) ნულოვანჯამიანი თამაში (ზერო-სუმ გამე), როდესაც აქტორები საკუთარ მოღვანეობას შემდეგნაირად უყურებენ: რასაც მე ვიგებ, შენ აგებ, ხოლო რასაც შენ აგებ, მე ვიგებ. ასეთი იყო იტალიის პოლიტიკური სისტემა 50-იან და 60-იან წლებში. დომინანტური იყო განცდა, რომ ყოველი არჩევნები იყო შეჯიბრი ანტაგონისტური და ფუნდამენტურად დაპირისპირებული ჯგუფებისა, რომელთა შორისაც გამოიყოფოდა ”ჩვენ” და ”მტრები”, ხოლო გამარჯვებული აუცილებლად დაჩაგრავდა დამარცხებულს.

ბ) მკაცრად თანამშრომლობაზე ორიენტირებული სისტემა, რომლის შიგნითაც ნებისმიერი დაპირისპირება აღიქმება, როგორც არასასურველი მოვლენა. ასეთი იყო, მაგალითად, ინდოეთის პოლიტიკური სისტემა 50-იან წლებში.

გ) სისტემა, რომელიც უშვებს როგორც თანამშრომლობას, ისე კონფლიქტს. აქ დომინანტურია შეხედულება, რომლის მიხედვითაც კომპრომისი არაა პოლიტური ძალის მაკომპრომიტირებელი ხდომილება. მაგრამ არც კონფლიქტია აუცილებლობით ცუდი - შეიძლება მის გადაწყვეტას ისეთი ვითარება მოჰყვეს, რომელიც კონფლიქტის ყველა მონაწილისათვის უკეთესი იქნება. ეს შეხედულება ახასიათებდა, მაგალითად, ბრიტანულ ლიბერალურ აზრს. საუკეთესო გამოხატულება მან ჯონ სტიუარტ მილის მიერ დაპირისპირებული შეხედულებების გამოხატვის თავისუფლებისაგან მისაღები სიკეთეების დაცვაში პოვა.

ენელი მისახვედრი არაა, რომ მესამე მოდელი ლიბერალური დემოკრატიისათვის ყველაზე სასურველია. მაგრამ არც იმის გაცნობიერებას სჭირდება დიდი გამჭრიახობა, რომ საქართველოს პოლიტიკური ელიტის დღევანდელი მდგომარეობა ყველაზე ადექვატურად პირველი მოდელით აღინერება, რასაც აღიარებენ როგორც მმართველი, ისე ოპოზიციური პარტიების წარმომამადგენლები. საინტერესოა, რომ ისინი არ მიიჩნევენ ამ სიტუაციას სასურველად, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთი პარტიის წარმომადგენელი არ თვლის აღნიშნულ პრობლემაში დამნაშავედ საკუთარ თავს. მმართველი პარტიის ლიდერების აზრით, ამ პრობლემის სათავე ოპოზიციური პარტიების არაკონსტრუქციულ დამოკიდებულებაში ძეგს, ხოლო უკლებლივ

ყველა ოპოზიციური პარტია აღნიშნული ნულოვანჯამიანი თამაშის სიტუაციის შექმნაში ხელისუფლების კონფრონტაციული მმართვის სტილს ასახელებს. რასაკვირველია, აქ აუცილებლად უნდა აღინშნოს სტრუქტურული პრობლემა - თუ პარლამენტში სახელისუფლებო პარტია აბსოლუტური უმრავლესობით არის წარმოდგენილი, მას ძალუძს გადაწყვეტილებების მიღება სხვა პარტიებთან შეთანხმებისა და თანამშრომლობის გარეშე. მეორე მხრივ, ამ სტრუქტურული პრობლემის ძირი კულტურულ ფაქტორობში უნდა ვეძიოთ, ვიდრე - პირიქით.

\* \* \* \* \*

შეკრებილი ინტერვიუები ჩატარდა 2006 წლის მეორე ნახევარში. ამავე პერიოდს ეკუთვნის პოლიტიკური პარტიების ლიდერთა ლირებულებების კვლევა. ცხადია, რომ ავტონომიურობის შესახებ მითოლოგია ჯერ კიდევ არ მოქმედებს საქართველოს პოლიტიკურ არენაზე: ნდობა, თანამშრომლობა, წარმოდგენები სხვადასხვა ინსტიტუტების როლის და ფუნქციების შესახებ - ჯერ კიდევ ოპერირებს დამოკიდებულების და იერარქიულობის სივრცეში - რაც, ჩვენი მსჯელობიდან გამომდინარე, იმას მიუთითებს, რომ რეალურად არ არსებობს ის სივრცე, სადაც პოლიტიკური პარტიების სისტემები ერთმანეთს კვეთენ და ანარმოებენ გაცვლას - ანუ, ისინი ისევე შორს არიან თანამედროვე, მოდერნული სიმბოლური ეკონომიკიდან, როგორც პოლიტიკური ცხოვრების ტიპიდან. ეს არ არის ტრაგედია, ეს არის ფაქტების აღწერითი კონსტატაცია: დღევანდელ პოლიტი-

კურ სპექტრში დიალოგი დანაკარგების და ორივე მხარის წაგების გარეშე შეუძლებელია.

შეუძლებელი იქნება მანამ, სანამ არ შეიქმნება ქსელი, ანუ, მოიძებნება გადაკვეთის (და არა დამთხვევის) წერტილები. ანუ, ჩვენს მიერ ამ ტექსტის პირველ ნაწილში შემოღებული ტერმინოლოგიით რომ აღვწეროთ - სანამ ავტონომიურობის მითოლოგია არ დაიწყებს საკუთარი კოდებით ოპერირებას.